საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

[ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად]

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი.

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში – სტუ) ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას:
   I. ბაკალავრიატი/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა;
   II. მაგისტრატურა;
   III. დოქტორანტურა. *(14.07.2022 №01-05-04/88)*
2. სწავლების პირველი წლის პირველ სემესტრში ჩარიცხული სტუდენტებისათვის, დადგენილია კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგი საანგარიშო (გეგმური) ვადები (სტუდენტის სტატუსის შეჩერების ხანგრძლივობის გარეშე, ანუ სწავლის ფაქტობრივი დრო):
   ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – 3 ან 4 წელი (6 ან 8 სემესტრი);
   ბ) დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე - 6 წელი (12 სემესტრი);
   გ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე – 1 ან 2 წელი (2 ან 4 სემესტრი);
   დ) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე – 3 წელი (6 სემესტრი).
   სტუ-ში, მობილობის, შიდა მობილობის ან აღდგენის წესით ჩარიცხული სტუდენტისათვის, საგანმანათლებლო პროგრამების დასასრულებლად დარჩენილი ვადები და უნივერსიტეტთან წარმოქმნილი ყველა ფინანსური ვალდებულება იგივეა, რაც სწავლების იმავე საფეხურისა და პროგრამის/სწავლების წლის სტუდენტებისათვის, რომელზეც მოხდა მისი ჩარიცხვა. *(14.07.2022 №01-05-04/88, 19.09.2024 №01-05-04/148)*
3. საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტის მიერ დასრულებულად (ათვისებულად) ითვლება, თუ იგი პირველი მუხლის მე-2 პუნქტში და, საჭიროების შემთხვევაში, მე-10 მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ ვადებში:
   ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე დააგროვებს არანაკლებ 180 ან 240 კრედიტს;
   ბ) დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დააგროვებს არანაკლებ 360 კრედიტს;
   გ) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დააგროვებს არანაკლებ 60 ან 120 კრედიტს (120 კრედიტიანი პროგრამა მოიცავს საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვას);
   დ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დააგროვებს პროგრამის სასწავლო კომპონენტით განსაზღვრულ კრედიტებს (არაუმეტეს 60 კრედიტისა), აგრეთვე შეასრულებს და დაიცავს სადისერტაციო ნაშრომს (დისერტაციას). (20.08.2021 *№01-05-04/137, 14.07.2022 №01-05-04/88, 19.09.2024 №01-05-04/148)*
4. საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შემდეგი კვალიფიკაცია:
   ა) ბაკალავრიატის შემდეგ – ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბაკალავრი);
   ბ) დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ - დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი, რომელიც გათანაბრებულია მაგისტრის ხარისხთან;
   გ) მაგისტრატურის შემდეგ – მაგისტრის აკადემიური ხარისხი (მაგისტრი);
   დ) დოქტორანტურის შემდეგ – დოქტორის აკადემიური ხარისხი (აკადემიური დოქტორი). *(14.07.2022 №01-05-04/88)*
5. საგანმანათლებლო პროგრამის დამთავრების შემდეგ გაიცემა შესაბამისი დიპლომი დანართით.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება.

1. უნივერსიტეტის მასშტაბით სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახორციელებს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახური. ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის ორგანიზებას ახორციელებენ დეკანი, დეკანის მოადგილეები, აკადემიური დეპარტამენტები და ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილება (შემდგომში - დეკანატი). *(19.09.2024 №01-05-04/148)*
2. 2. პროფესორი/მასწავლებელი (შემდგომში პროფესორი) ვალდებულია შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) სამართლებრივი აქტებით და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, მათ შორის, სწავლება და სტუდენტთა მიღწევების შეფასება განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსის მოთხოვნების დაცვით, სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო მასალა (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელი, მეთოდური მითითებები და სხვ.) ატვირთოს ელექტრონულ პორტალზე elearning.gtu.ge. და სხვ. *(29.07.2025 №01-05-04/147)*
3. სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა აუდიტის სამსახური ვალდებული არიან აწარმოონ სწავლებისა და სტუდენტთა მიღწევების შეფასების მუდმივი მონიტორინგი. *(19.09.2024 №01-05-04/148)*

მუხლი 3. სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის წესი

1. სტუ-ში ბაკალავრიატის/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი/არასავალდებულო კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას. *(14.07.2022 №01-05-04/88)*
2. თავისუფალი/არასავალდებულო კომპონენტი არის საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული არჩევითი სასწავლო კურსი/საგანი, რომლის სწავლის შედეგი არ განსაზღვრავს მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თავისუფალ კომპონენტს არ უნდა ჰქონდეს დაშვების წინაპირობა.
3. სტუ უფლებამოსილია დაადგინოს სპეციალური შეზღუდვები რეგულირებად პროგრამებთან მიმართებით.
4. საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია იყოს არჩევითი საგნების ბლოკი. აღნიშნული საგნების არჩევის დროს მიზანშეწონილია, სტუდენტმა გაითვალისწინოს თავისი მომავალი პროფილი – შეარჩიოს ისეთი საგნები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასურველი სასწავლო კურსების, მათ შორის, თავისუფალი კომპონენტების გავლას. განაცხადი არჩევით, მათ შორის, თავისუფალი კომპონენტის არჩევის შესახებ სტუდენტმა უნდა გააკეთოს დადგენილ ვადაში.
5. სტუდენტის არჩევანი უნდა ითვალისწინებდეს არსებული საგანამანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვებასა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტის განცხადების საფუძველზე, დეკანის/დეკანების შუამდგომლობით, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის წარდგინებით და რექტორის თანხმობით შესაძლებელია უნივერსიტეტში იგივე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვება (წინაპირობებისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით). ამ შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული სემესტრის კომპონენტის გავლა, თუ ეს ხელს არ შეუშლის სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას.*(19.09.2024 №01-05-04/148)*
6. ცალკეული სასწავლო კურსის/საგნის სწავლება, როგორც წესი, დასაშვებია არანაკლებ 15 მსურველი სტუდენტის შემთხვევაში. მსურველთა რაოდენობისა და არსებული რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია შეიქმნას რამდენიმე ჯგუფი.

7. როგორც თავისუფალი კომპონენტების, ისე საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული, პროფესიასთან დაკავშირებული არჩევითი მოდულების/კონცენტრაციების, აგრეთვე მათში შემავალი არჩევითი სასწავლო კურსების არჩევის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე; ამასთან, სტუდენტის მიერ საკუთარი პროფილის განსაზღვრის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაციისა და დახმარების გაწევა.
8. ფაკულტეტის დეკანატში უნდა იყოს პირი, რომელიც კვალიფიციურ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს პროფილის განსაზღვრასთან დაკავშირებით.
9. სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, სტუ ასევე უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

მუხლი 4. სასწავლო კვირა/სემესტრი/წელი

1. სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.
2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. სტუ-ში ერთი სემესტრის განმავლობაში 13 კვირა სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობების), 1 – შუასემესტრული გამოცდის, 1 – დოკუმენტური მასალის ჩაბარების და 3 – სასესიო (დასკვნითი და დამატებითი გამოცდების). სასწავლო პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს. *(ძალაშია 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან. 29.07.2025 №01-05-04/147)*
3. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს. კონკრეტული სემესტრის ხანგრძლივობა დგინდება რექტორის ბრძანებით მოცემული სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ.
4. ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს, სემესტრი - როგორც წესი, საშუალოდ 30 კრედიტს.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. სტუ-ში ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

5[1]. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 30 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. საკონტაქტო საათი არის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით სტუდენტის სასწავლო საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, ხოლო დამოუკიდებელი საათი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობის გარეშე სტუდენტის სასწავლო საქმიანობის დრო. *(14.07.2022 №01-05-04/88)*

5[2]. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის

საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს. *(14.07.2022 №01-05-04/88)*

6. სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად, მისი სურვილით, შეიძლება შედგეს ინდივიდუალური გეგმა. სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მისთვის აღნიშნული გეგმის შედგენაში.*(19.09.2024 №01-05-04/148)*
7. სტუდენტების ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანის წესი მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ. *(19.09.2024 №01-05-04/148)*
8. როგორც წესი, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე შეიძლება გადაყვანილ იქნენ შემდეგი კატეგორიის სტუდენტები:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები;

ბ) ჯანმრთელობის პრობლემის მქონე, ფეხმძიმე ან მცირეწლოვანი ბავშვის (3 წლამდე) დედები;

გ) საქართველოს სახელით ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატის და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების მონაწილეები;

დ) სტუ-ს სპორტული ნაკრების წევრები;

ე) სტუ-ს შემოქმედებით ან სახელოვნებო წრეში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, კვარტეტი, და ა.შ) გაერთიანებული სტუდენტები;

ვ) საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ დაწესებულებებში (პროფილით/სპეციალობით) და სახელმწიფო სტრუქტურებში (მუნიციპალიტეტში, სამინისტროებში და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში) დასაქმებულნი, სტუ-ის რეკომენდაციით სტაჟირებაზე მყოფნი;

ზ) სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) და ფაკულტეტების საბჭოების წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები;

თ) ფაკულტეტის დეკანის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობის საფუძველზე, რექტორის ბრძანებით პერსონალურად განსაზღვრული სხვა კატეგორიის სტუდენტი.*(19.09.2024 №01-05-04/148)*

9. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანის მიზნით, მე-8 პუნქტის „ა-ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი კატეგორიის სტუდენტმა, აკადემიური საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში, შესაბამისი ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურში უნდა წარადგინოს განცხადება და სათანადო დოკუმენტაცია:

ა) ჯანმრთელობის ცნობა - ფორმა №100;

ბ) 3 წლამდე ასაკის ბავშვის დაბადების მოწმობა;

გ) შესაბამისი ფედერაციის, კლუბის (უმაღლესი ლიგა), სტუდიის უფლებამოსილი პირის შუამდგომლობა ოფიციალურ ბლანკზე, დამოწმებული სველი ბეჭდით და ხელმოწერით;

დ) ცნობა სამსახურიდან, დამოწმებული სველი ბეჭდით და ხელმოწერით;

ე) ხელფასის ბოლო 3 სამი თვის ამონაწერი.*(19.09.2024 №01-05-04/148)*

10. ფაკულტეტის მენეჯერი უზუნველყოფს სტუდენტის განცხადებისა და სათანადო დოკუმენტაციის მიღებას, რის შემდეგაც მენეჯერის შესაბამისი სამსახურებრივი ბარათი გადაეცემა სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და შიდა აუდიტის სამსახურს შესამოწმებლად, ხოლო შემდეგ სასწავლო პროცესების მართვის სამსახურს.*(19.09.2024 №01-05-04/148)*
11. სასწავლო პროცესების მართვის სამსახური უზრუნველყოფს რექტორის შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას.*(19.09.2024 №01-05-04/148)*
12. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანილი სტუდენტის სწავლის დასრულების ვადა შეიძლება განსხვავდებოდეს პირველი მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ვადისგან არაუმეტეს 1 სემესტრით.*(19.09.2024 №01-05-04/148)*

მუხლი 5. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი

1. სტუ უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.
2. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.
3. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 კრედიტს.

მუხლი 6. სტუდენტის შეფასება სასწავლო კომპონენტში *(12.10.2020 №01-05-04/145)*

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს რაოდენობრივი მაჩვენებელი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – არანაკლებ 40. *(29.07.2025 №01-05-04/147)*
3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. *(29.07.2025 №01-05-04/147)*
4. შეფასების თითოეული კომპონენტი მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. *(29.07.2025 №01-05-04/147)*
5. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
6. შუალედური შეფასების კომპონენტები შეიძლება იყოს:
   6.1. შუასემესტრული გამოცდა;
   6.2. მიმდინარე აქტივობის შეფასება:
      6.1.1. ტესტირება ღია ან დახურული კითხვებით;
      6.1.2. პრაქტიკული/თეორიული საშინაო დავალების შესრულება;
      6.1.3. თემატური პროექტი;
      6.1.4. საკურსო სამუშაო/საკურსო პროექტი;
      6.1.5. წერითი ან/და ზეპირი გამოკითხვა;
      6.1.6. ლაბორატორიაზე აქტივობა;
      6.1.7. სემინარზე აქტივობა;
      6.1.8. დისკუსიაში მონაწილეობა;
      6.1.9. იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა;
      6.1.10. კაზუსის ამოხსნა;
      6.1.11. ქეისი;
      6.1.12. კლაუზურა და სხვ.
7. სემესტრის განმავლობაში რეკომენდებულია ჩატარდეს ერთი შუასემესტრული გამოცდა. მიმდინარე აქტივობის მეთოდებიდან, სწავლების საფეხურისა და სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია არანაკლებ 2-ის (ნებისმიერი) გამოყენება. შუასემესტრული გამოცდების და მიმდინარე შეფასების მეთოდების რაოდენობა, მათი ჩატარების ფორმა, შინაარსი, მაქსიმალური ქულა, კრიტერიუმები და სკალები დგინდება სილაბუსის ავტორის მიერ და აღიწერება სილაბუსში, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

8. საკურსო სამუშაოს/საკურსო პროექტის რეკომენდებული მაქსიმალური შეფასებაა 15 ქულა.
9. სასწავლო კურსში (საგანში) 1 თემატური პროექტის არსებობისას მისი შეფასების რეკომენდებული მაქსიმალური ქულაა 15; ორი თემატური პროექტის არსებობისას პირველი თემატური პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო მეორე თემატური პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულა – 10. სასწავლო კურსში 1 თემატური პროექტის არსებობისას იგი ჩაბარდება სააუდიტორიო მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, სესიებამდე ერთი კვირის განმავლობაში – დოკუმენტური მასალის ჩაბარების კვირაში; 2 თემატური პროექტის არსებობისას პირველი თემატური პროექტი ჩაბარდება შუასემესტრული გამოცდებისათვის გამოყოფილ კვირაში, ხოლო მეორე – დოკუმენტური მასალის ჩაბარების კვირაში.
10. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დგინდება სილაბუსის ავტორის მიერ. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. შესაბამისი სფეროს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შესაძლებელია აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. *(29.07.2025 №01-05-04/147)*
11. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური 40 ქულით შეფასებისას, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:
    11.1. ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში შუალედური შეფასების მინიმალური ჯამური დადებითი ქულა შეადგენდეს 30-ს;
    11.2. ბაკალავრიატში დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი ქულა შეადგენდეს 11-ს, ხოლო მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში – 21-ს.

    11^1. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა შეადგენდეს: შუალედური შეფასების 50%-ს, დასკვნითი შეფასების 50%+1 ქულას. სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს ამ პუნქტით დადგენილისგან განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად. *(14.07.2022 №01-05-04/88)*

    11^2. დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. *(14.07.2022 №01-05-04/88)*
12. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასების კომპონენტებში ჯამურად დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასებისა, ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი დოკუმენტური მასალის სახით.
13. სილაბუსში მითითებული უნდა იყოს, თუ შუალედური შეფასების რომელ კომპონენტში მოეთხოვება სტუდენტს დოკუმენტური მასალის (ლაბორატორიული/ პრაქტიკული/ ნახაზი/ ნახატი/ თემატური პროექტი/ პროექტები/ საკურსო სამუშაო/ საკურსო პროექტი/ პრაქტიკის ანგარიში და ა.შ.) ჩაბარება.

14. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
15. შეფასების სისტემა უშვებს:
    ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
    ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
    ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
    ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
    ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
    ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა;
    ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
    ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
    ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
16. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუ ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.
17. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
18. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
19. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
20. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/ კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.
21. დოქტორანტურისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი/კომპონენტები უნდა შეფასდეს ამ მუხლის მე-15 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.
22. დოქტორანტურისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტების შეფასების წესები მოცემულია შესაბამის დებულებებში.
23. ელექტრონული ფორმით შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის შესაბამის საგამოცდო ცენტრში. *(19.09.2024 №01-05-04/148)*
24. სტუდენტს უფლება აქვს ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველ სასწავლო კურსში:
24.1. შუასემესტრულ გამოცდაზე გავიდეს, როგორც წესი, მხოლოდ ერთხელ, დადგენილ დროს;
24.2. სასესიო კვირების განმავლობაში დასკვნით გამოცდაზე გავიდეს მხოლოდ ერთხელ, დადგენილ დროს.
25. დეკანატი ვალდებულია, შუასემესტრული გამოცდების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე შეადგინოს შესაბამისი ცხრილი დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით.
26. დეკანატი ვალდებულია, საგამოცდო სესიის დაწყებამდე 2 კვირით ადრე, სასწავლო კურსების წამყვან პროფესორებთან შეთანხმებით, შეადგინოს დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ცხრილი დღეების, საათების და აუდიტორიების მითითებით.

მუხლი 7. სტუდენტის შეფასება სამეცნიერო-კველევით კომპონენტში

1. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:
   ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
   ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
   გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
   დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
   ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
   ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
   ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.
4. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება მე-6 მუხლის მე-17 პუნქტით ან ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.
5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის მე-6 მუხლის მე-17 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო მე-6 მუხლის მე-17 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში, აგრეთვე განმეორებით მე-6 მუხლის მე-17 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

მუხლი 8. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრება და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენა *(28.06.2019 №01-05-04/177)*

1. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას (მიმდინარე შეფასება, შუასემესტრული/დაკვნითი/დამატებითი გამოცდა, ტესტირება, თემატური სემინარი, დისერტაციის, სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომის, საკურსო პროექტის/სამუშაოს, თემატური პროექტის, პრაქტიკის ანგარიშის დაცვა და სხვა სახის გამოცდა/ტესტირება/შეფასება), უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.

2. საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია. დასკვნის საფუძველზე დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველოფს საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვას.
3. დეკანის/ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:
   ა) მოთხოვნილი შეფასების დადასტურება;
   ბ) განმეორებითი შეფასება იგივე პირობებში;
   გ) განმეორებითი შეფასება საკომისიო წესით;
   დ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარი.
4. იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვისას გამოიკვეთა "სტუ-ს ეთიკის კოდექსითა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმებით" დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ნიშნები, საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამის დისციპლინარული წარმოების განმახორციელებელ ორგანოს.
5. სტუ-ს საგამოცდო ცენტრმა, სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნულის გარდა დამატებით შეიძლება შეიმუშავოს და გამოიყენოს შეფასების შედეგის გასაჩივრების სხვა წესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე წესს.
6. თუ სტუდენტი მიმდინარე შეფასებაზე, შუასემესტრულ ან/და დასკვნით/დამატებით გამოცდაზე ვერ გამოცხადდა ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზით, მას უფლება აქვს შეფასების/გამოცდის აღდგენის თაობაზე წერილობითი განცხადებით მიმართოს რექტორს აღნიშნული მიზეზის აღმოფხვრიდან არაუგვიანეს 15 დღისა.
7. სტუდენტი ვალდებულია შეფასების/გამოცდის აღდგენის შესახებ განცხადებას დაურთოს საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები. სტუდენტმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს თავისი ელექტრონული უწყისების ამონაკრები (ამობეჭდილი აკადემიური მოსწრების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის სტუდენტის გვერდიდან).
8. სემესტრის დაწყებიდან პირველი 6 კვირის განმავლობაში ჩატარებული მიმდინარე შეფასებების აღდგენა უნდა დასრულდეს შესაბამის სასწავლო კურსში შუასემესტრულ გამოცდამდე, შუასემესტრული გამოცდის აღდგენა უნდა დასრულდეს მე-15 კვირის ბოლომდე (სესიების დაწყებამდე), მე-7 – მე-13 კვირების მიმდინარე შეფასებების აღდგენა – შესაბამის დასკვნით გამოცდებამდე, ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდის აღდგენა – შემდეგი სემესტრის დასრულებამდე, დეკანატთან/საგამოცდო ცენტრთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე. *(ძალაშია 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან. 29.07.2025 №01-05-04/147)*
9. სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის წესები ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირებისათვის. ამ მიზნით იგი განთავსებული უნდა იყოს უნივერსიტეტის, საგამოცდო ცენტრისა და ფაკულტეტის ვებგვერდებზე.

მუხლი 9. სტუდენტის სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებები

1. სტუდენტი ვალდებულია დეკანატში გაიაროს აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება, წინა სემესტრის სწავლის შედეგების დადასტურება) და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება და/ან სწავლების საფასურის გადახდა) რეგისტრაცია.
2. აკადემიური ან ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა არის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი.
3. საფინანსო ხელშეკრულება ფორმდება სტუდენტსა და სტუ-ს რექტორს შორის, სწავლების პირველ წელს – ჩარიცხვისას, ხოლო მობილობის (გარე/შიდა) წესით ჩარიცხვის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის, დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების ან სასწავლო/კვლევითი კომპონენტის ხელახლა გავლისას – სასწავლო წლის/სემესტრის დაწყებამდე, როგორც წესი, არანაკლებ ორი კვირით ადრე. *(19.09.2024 №01-05-04/148)*

4. სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება სტუდენტსა და დეკანს შორის და შეიცავს სტუდენტის მიერ სასწავლო წლის/სემესტრის განმავლობაში გასავლელი სასწავლო კურსების ან/და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების (შემდგომში - კვლევითი კომპონენტების) ნუსხას (დანართი 1). სასწავლო ხელშეკრულება წარმოადგენს საფინანსო ხელშეკრულების საფუძველს. *(19.09.2024 №01-05-04/148)*
5. შევსებულ სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებს ხელს აწერს უშუალოდ სტუდენტი; სტუდენტის არასრულწლოვანებისას საფინანსო ხელშეკრულებას ხელს აწერს ასევე მისი მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი.
6. ხელშეკრულებები ფორმდება ორ-ორ ეგზემპლარად – თითო ეგზემპლარი გადაეცემა სტუდენტს, ხოლო მეორე ინახება დეკანატში სტუდენტის პირად საქმეში. სტუდენტმა სწავლების საფასური უნდა გადაიხადოს საფინანსო ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში. ხელშეკრულებებით განსაზღვრული დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა ან/და გასავლელი კვლევითი კომპონენტების ეტაპები, შესაბამისად, გადასახდელი თანხა აისახება სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემაში (VICI) და ხელმისაწვდომია სამსახურებრივი სარგებლობის მიზნით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის, მათ შორის, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატის, მენეჯერის სამსახურის და საფინანსო სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლებისათვის. *(19.09.2024 №01-05-04/148)*
7. სასწავლო კურსის ხელახლა გავლა შეიძლება შესაბამისი კურიკულუმით გათვალისწინებულ სემესტრში. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნეს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურთან შეთანხმებით.*(19.09.2024 №01-05-04/148)*
8. სასწავლო ხელშეკრულებაში უნდა მიეთითოს:
   - სტუდენტის გვარი, სახელი;
   - პირადი ნომერი;
   - აკადემიური წელი;
   - სწავლების წელი;
   - საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება;
   - სასწავლო კურსების/კვლევითი კომპონენტების დასახელება და შესაბამისი კრედიტების რაოდენობა.
9. სასწავლო ხელშეკრულებაში ჯერ მიეთითება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსები/კვლევითი კომპონენტები, შემდეგ – სტუდენტის მიერ არჩეული სასწავლო კურსები და ბოლოს – დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსები/კვლევითი კომპონენტები.
10. თუ სტუდენტს დამატებით (ხელახლა) აქვს გასავლელი სასწავლო კურსები/კვლევითი კომპონენტები, მან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების წინ დეკანატში უნდა მიიღოს კონსულტაცია; კონსულტაციის მიზანია დამატებით (ხელახლა) გასავლელ სასწავლო კურსებ/კვლევით კომპონენტებს შორის კურიკულუმის შესაბამისად წინმსწრები კურსების/კვლევითი კომპონენტების, აგრეთვე მათ გასავლელად ოპტიმალური პერიოდების შერჩევა.
11. სტუდენტს უფლება აქვს სემესტრის დაწყებამდე, როგორც წესი, არანაკლებ ორი კვირით ადრე გააფორმოს დამატებითი სასწავლო და შესაბამისი საფინანსო ხელშეკრულებები. დამატებით სასწავლო ხელშეკრულებაში მიეთითება სასწავლო კურსები/კვლევითი კომპონენტები, რომელთა ხელახლა გავლის საჭიროება შეიქმნა.
12. სტუდენტმა სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა გაიაროს ხელშეკრულებაში (მათ შორის დამატებითში) მითითებული ყველა სასწავლო კურსი/კვლევითი კომპონენტი.
13. სასწავლო ხელშეკრულების შეცვლა სემესტრის განმავლობაში დაუშვებელია.
14. საფინანსო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ელექტრონულ უწყისებში გაფრთხილების ნიშნად სტუდენტის გვარსა და სახელს შეეცვლება ფერი, ხოლო ვალდებულების წარმოქმნიდან 6 კვირის

(დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტს – 2 კვირის) განმავლობაში ფინანსური დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

15. სტუდენტი ვალდებულია, პირად მონაცემებში ცვლილების შესახებ დროულად წარადგინოს ინფორმაცია დეკანატში.

მუხლი 10. სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვება სასწავლო კომპონენტში

(19.09.2024 №01-05-04/148)

1. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ მის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.
2. სტუდენტთა მიღწევების შეფასება განისაზღვრება ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით.
3. F - უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია სასწავლო კურსი ხელახლა გაიაროს მომდევნო სემესტრის/სემესტრების განმავლობაში.
4. სასწავლო კურსის ხელახლა გავლისათვის სტუდენტმა უნდა გადაიხადოს სასწავლო კურსის საფასური.
5. სასწავლო კურსის საფასური გამოითვლება ფორმულით:

$$Q = \frac{S}{60} \times n,$$

სადაც S არის იმ საგანმანათლებლო პროგრამის ერთი სასწავლო წლის სწავლების საფასური, რომელზეც სწავლობს სტუდენტი, n – სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა.

6. აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს ამ მუხლის მე-4 პუნქტის პირობების შესრულების შემდეგ ერთი და იგივე სასწავლო კურსი გაიაროს რამდენჯერმე საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვამდე.
7. სტუდენტს უფლება აქვს, რომელიმე სასწავლო კურსის საბოლოო დადებითი შედეგის გაუმჯობესების მიზნით, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის თანხმობის და ამ მუხლის მე-4 პუნქტის პირობების შესრულების შემდეგ, დეკანის ბრძანებით, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების გეგმურ ვადაში, ხელახლა, მხოლოდ ერთხელ გაიაროს სასწავლო კურსი.
8. სასწავლო კურსი, რომელიც პროგრამაში შევიდა მოდიფიცირების შედეგად, სტუდენტმა უნდა გაიაროს შესაბამისი სწავლის საფასურის გადახდის გარეშე. აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით გავლა შეიძლება ამ მუხლის მე-4 პუნქტის პირობის შესრულების შემდეგ.
9. სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტის სასწავლო გეგმაში შევიდა პროგრამის გაუქმებასთან დაკავშირებით განხორციელებული შიდა მობილობის შედეგად, სტუდენტმა ერთხელ უნდა გაიაროს შესაბამისი სწავლის საფასურის გადახდის გარეშე. აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით გავლა შეიძლება ამ მუხლის მე-4 პუნქტის პირობის შესრულების შემდეგ.

მუხლი 10[1]. დამატებით სემესტრში სტატუსის გაგრძელება *(19.09.2024 №01-05-04/148)*

1. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს აღნიშნული პროგრამის დასასრულებლად, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით, სწავლა გააგრძელოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში:

   ა) ბაკალავრიატში/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაზე – არა უმეტეს 4 სემესტრისა;

   ბ) სწავლების დანარჩენ საფეხურებზე (მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე) – არა უმეტეს 2 სემესტრისა;

გ) ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე - არა უმეტეს 1 სემესტრისა.

2. თუ მაგისტრანტი ან დოქტორანტი დასრულებულ სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომს წარადგენს დადგენილ ვადაზე გვიან, მაგრამ მიმდინარე სემესტრის ვადის ამოწურვამდე, მას შეიძლება გაუგრძელდეს სტუდენტის სტატუსი ნაშრომის დაცვის/კვალიფიკაციის/ხარისხის მინიჭების პროცედურებისათვის საჭირო ხანგრძლივობით, (მათ შორის, მე-7 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით), სწავლის საფასურის დამატებით გადახდის გარეშე. სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომის დაცვის/კვალიფიკაციის/ხარისხის მინიჭების პროცედურებისათვის საჭირო ვადით სტუდენტის სტატუსის გაგრძელების თაობაზე სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს სტუ-ს რექტორს მიმდინარე სემესტრის დასრულებიდან არა უგვიანეს ორი კვირის ვადაში.
3. თუ საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვისას სტუდენტის აკადემიური დავალიანება ბაკალავრიატში/ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აღემატება 120 კრედიტს, ხოლო მაგისტრატურაში – 60 კრედიტს, სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით და ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ შეიცვალოს სპეციალობა/პროგრამა, რის თაობაზეც მან განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს შიდა მობილობის ვადებში. დამატებით სემესტრში სტუდენტს ეზღუდება შიდა მობილობის განხორციელების უფლება.
4. დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების თაობაზე სტუდენტმა მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. შესაბამისი ბრძანება გამოიცემა სტუდენტთან დადებული სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების საფუძველზე.
5. სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების/მაგისტრატურის კვლევითი კომპონენტის შესაბამისი კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით. სტუდენტისთვის სწავლების დამატებით სემესტრში/სემესტრებში გასავლელი სასწავლო კურსების/მაგისტრატურის კვლევითი კომპონენტის შესაბამისი ღირებულება განისაზღვრება მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ბოლო სასწავლო წლის სწავლის საფასურის მიხედვით, ხოლო პროგრამის შეცვლისას სწავლების წლიური საფასური და, შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში დამატებით გასავლელი სასწავლო კურსების/კვლევითი კომპონენტების ღირებულება იქნება იგივე, რაც დადგენილია მიმღები ფაკულტეტის სწავლების იგივე საფეხურის და პროგრამის/სწავლების წლის სტუდენტებისათვის.
6. საგანმანათლებლო პროგრამის საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს, რომელიც ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტში მითითებულ ვადაში განცხადებით არ მიმართავს რექტორს დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების ან პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) თაობაზე, აღნიშნული ვადის ამოწურვიდან ერთი თვის ვადაში დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. აღნიშნულმა პირმა სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის ვადის გასვლამდე, სტატუსის აღდგენის და დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე, ხოლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობლობის) თაობაზე - შიდა მობილობის ვადებში.
7. პირი, რომელიც ამ მუხლით განსაზღვრული წესით სწავლას გააგრძელებს დამატებით სემესტრში/სემესტრებში, ვალდებულია აკადემიური დავალიანება დაფაროს უახლოეს დამატებით სემესტრში/სემესტრებში. ამისთვის დეკანატი ვალდებულია, გასავლელი სასწავლო კურსების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების წინაპირობების დაცვით და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული კრედიტების მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით (სასწავლო წელს – არაუმეტეს 75 კრედიტისა, ხოლო დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის შემთხვევაში - დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-

ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს) შეადგინოს დარჩენილი კომპონენტების გავლის ოპტიმალური ვადა. შესაბამისად, სტუდენტს განესაზღვრება მინიმალური რაოდენობის დამატებითი სემესტრები და ამ სემესტრებში გასავლელი კომპონენტების ნუსხა. საჭიროების შემთხვევაში, დეკანის მოტივირებული შუამდგომლობით შეიძლება შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. დეკანატი შეადგენს აგრეთვე შესაბამისი სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების პროექტებს. შესაბამის ბრძანებაში მიეთითება დამატებითი სემესტრების რიგითი ნომრები.

8. სტუდენტის მიერ პროგრამის შეცვლა (შიდა მობილობა) ან სტატუსის გაგრძელება/სტატუსის აღდგენა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ.
9. დამატებით სემესტრში/სემესტრებში სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის ეტაპის გავლა შეიძლება, როგორც წესი, მხოლოდ ორჯერ. ეს უკანასკნელი არ ვრცელდება იმ სასწავლო კურსზე/კვლევითი კომპონენტის ეტაპზე, რომელიც პროგრამაში შევიდა მოდიფიცირების შედეგად. ასეთი სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის ეტაპის დამატებით სემესტრში/სემესტრებში გავლა შეიძლება, როგორც წესი, მხოლოდ სამჯერ.
10. დოქტორანტის მიერ დისერტაციის დაგვიანებით წარდგენასთან ან წარუდგენლობასთან და დისერტაციის დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღებასთან დაკავშირებით სტატუსის გაგრძელების, შეჩერების და შეწყვეტის, აგრეთვე სტატუსის აღდგენის საკითხები განისაზღვრება დოქტორანტურისა და საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებებით.
11. სტუდენტს, რომელიც დამატებით სემესტრებში ვერ დაასრულებს პროგრამას, დეკანის წარდგინებით ერთი თვის ვადაში შეუწყდება სტუდენტის სტატუსი და ის დიპლომის ნაცვლად მიიღებს შესაბამის ცნობას. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის განმავლობაში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის უფლებით.

მუხლი 10². კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის/ხარისხის მინიჭება და დიპლომის გაცემა *(19.09.2024 №01-05-04/148)*

1. სტუდენტის მიერ სწავლების საანგარიშო (გეგმური) ვადაში ან/და დამატებით სემესტრებში დაგროვებული კრედიტების რაოდენობა და კვლევითი კომპონენტის/კვლევითი კომპონენტის ეტაპების შესრულება აღიწერება სტუდენტის სასწავლო ბარათში (დანართი 2), რომელიც ინახება მის პირად საქმეში.
2. სტუდენტის სასწავლო ბარათში თითოეულ სასწავლო კურსში/კვლევითი კომპონენტში დაგროვებული კრედიტების, დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის ეტაპების გავლის შესახებ ინფორმაცია ჩაიწერება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის/ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა შეფასების უწყისის მიხედვით.
3. კვალიფიკაციის/ხარისხის მისანიჭებლად და დიპლომის მისაღებად სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს პროგრამა და დაგროვებული უნდა ჰქონდეს პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული რაოდენობის კრედიტები, დოქტორანტურის პროგრამაზე აგრეთვე შესრულებული უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები და დაცული უნდა ჰქონდეს სადისერტაციო ნაშრომი.
4. თუ სტუდენტმა დაასრულა (სრულად დაამთავრა) საგანმანათლებლო პროგრამა, კალენდარული წლის ბოლომდე მას უნდა მიენიჭოს შესაბამისი კვალიფიკაცია/ხარისხი და მიეცეს დიპლომი დიპლომის დანართთან ერთად.
5. კურსდამთავრებულს კვალიფიკაციას/ხარისხს ანიჭებს:

ა) ბაკალავრიატში/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე – საფაკულტეტო ბრძანებით შექმნილი საკვალიფიკაციო კომისია;
ბ) მაგისტრატურაში – რექტორის ბრძანებით შექმნილი საგამოცდო კომისია;
გ) დოქტორანტურაში – შესაბამისი საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, თავისი გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილი სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6. სწავლების საფეხურის და სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტს მიეცემა ბაკალავრის, ბაკალავრის წარჩინების, დიპლომირებული მედიკოსის, დიპლომირებული მედიკოსის წარჩინების, მაგისტრის, მაგისტრის წარჩინების ან დოქტორის დიპლომი.
7. წარჩინების დიპლომის მისაღებად ყველა კომპონენტში მიღებული შეფასებების საშუალო შეწონილი სიდიდე უნდა იყოს 91 და მეტი ქულა.
8. კურსდამთავრებულისათვის დიპლომის ან დიპლომის დანართის გაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ.

მუხლი 11. სტუდენტთა შეფასების უწყისი. *(26.02.2021 №01-05-04/31)*

1. სტუდენტთა შეფასების უწყისი (შემდგომში – უწყისი) არის თითოეულ სასწავლო კურსში კურსში/კვლევით კომპონენტში ერთი აკადემიური ჯგუფის სტუდენტების მიღწევების ნაკრები (იხ. დანართები 3 და 4):
   - შუალედური შეფასებები, დოკუმენტური მასალის ჩაბარება, დასკვნითი და დამატებითი გამოცდა (სასწავლო კომპონენტი);
   - დოკუმენტური მასალის ჩაბარება, დასკვნითი შეფასება (კვლევითი კომპონენტი).
2. სწავლების სხვადასხვა საფეხურისა და სასწავლო კურსისათვის/კვლევითი კომპონენტისათვის უწყისს შეიძლება ჰქონდეს მე-3/მე-4 დანართებისაგან განსხვავებული ფორმა. ეს უკანასკნელი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ.
3. უწყისის ელექტრონული ვერსია (შემდგომში – ელექტრონული უწყისი), რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, უნდა შეივსოს სასწავლო სემესტრის ჩატარების შესახებ რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის/ხელმძღვანელის მიერ; დაუშვებელია უწყისის სხვა პირის მიერ შევსება.
4. უწყისში ინფორმაციის შეტანისას სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი უნდა დაეყრდნოს სასწავლო კურსის ფორმატით გათვალისწინებული სემინარის, პრაქტიკის, საკურსო სამუშაოს/პროექტის ან სხვა სახის მეცადინეობების წამყვანი მასწავლებლების მონაცემებს.
5. უწყისში მოყვანილ ინფორმაციაზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი.
6. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული ვადისა, ხოლო შეფასებების კორექტირებისას – კორექტირების განხორციელებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა, სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი/ხელმძღვანელი აკადემიურ დეპარტამენტში ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს. დეპარტამენტის სპეციალისტი მოახდენს უწყისის რეგისტრაციას, დეპარტამენტის უფროსის მიერ დამოწმებული უწყისის ერთ ეგზემპლარს ჩააკერებს შესაბამის საქაღალდეში, ხოლო მეორე ეგზემპლარს გადასცემს დეკანატს არსებული წესის მიხედვით, სადაც მოხდება საბოლოო რეგისტრაცია და მონაცემების

დეკანატის ავტომატიზებული მართვის სისტემაში ასახვა.

7. ზოგადად უწყისში უნდა აისახოს:

ა) უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დასახელება;
ბ) აკადემიური ჯგუფის ნომერი;
გ) სასწავლო წელი და სემესტრი;
დ) სწავლების წელი და სემესტრი;
ე) სწავლების საფეხური;
ვ) საგანმანათლებლო პროგრამა;
ზ) სასწავლო კურსის/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დასახელება;
თ) წამყვანი პროფესორის/ხელმძღვანელის (მაგისტრატურა)/სამეცნიერო ხელმძღვანელის (დოქტორანტურა) სახელი და გვარი;
ი) სასწავლო კურსის/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესაბამისი კრედიტების რაოდენობა;
კ) სტუდენტის გვარი და სახელი;
ლ) სასწავლო კვირის ნომერი;
მ) შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდის (სასწავლო კომპონენტი) / დასკვნითი შეფასების (კვლევითი კომპონენტი) მაქსიმალური ქულების რაოდენობა;
ნ) სტუდენტების მიერ ფაქტობრივად მიღებული/დაგროვებული ქულების რაოდენობა;
ო) სტუდენტების მიერ დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღნიშვნა;
პ) სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის/ხელმძღვანელის ხელმოწერა;
ჟ) აკადემიურ დეპარტამენტსა და დეკანატში რეგისტრაციის აღნიშვნები და პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები.

8. ელექტრონულ უწყისში შეფასებების კორექტირების თაობაზე სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის/ხელმძღვანელის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათების წარმოდგენა, როგორც წესი, უნდა დასრულდეს მიმდინარე სემესტრში, შეფასებიდან მომდევნო ორი კვირის განმავლობაში.

9. კვლევით კომპონენტში შუალედური ეტაპის (პროსპექტუსი, კოლოქვიუმი ან სხვ.) არსებობისას გამოიყენება „სტუდენტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ეტაპის გავლის აღრიცხვის უწყისი“ (იხ. დანართი 5), რომლის წარმოება შეფასების უწყისის ანალოგიურია.

მუხლი 12. სააუდიტორიო ფონდის დანომვრის წესი

1. სტუ-ში სააუდიტორიო ფონდი (აუდიტორიები, ლაბორატორიები, კაბინეტები და სხვ., შემდგომში – აუდიტორიები) ყველა სასწავლო კორპუსში ინომრება ერთიანი წესით.
2. აუდიტორიის ნომერი თანამიმდევრობით შეიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ რეკვიზიტებს:
   - კორპუსის ნომერი (ორნიშნა რიცხვი);
   - ფლიგელის ნომერი (ლათინური ანბანის ასომთავრული ასო), ხოლო ფლიგელის არარსებობისას – ტირე;
   - სართულის ნომერი (ერთნიშნა რიცხვი);
   - ოთახის ნომერი (ორნიშნა რიცხვი);
   - წერტილი (დამატებითი ნომრის / ინდექსის არსებობის შემთხვევაში);
   - დამატებითი ნომერი / ინდექსი (ერთნიშნა რიცხვი).
3. დამატებითი ნომერი / ინდექსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ან მეტ აუდიტორიას აქვს საერთო შესასვლელი, ან რომელიმე აუდიტორიაში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ სხვა აუდიტორიის გავლით; დამატებითი ნომერი / ინდექსი შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტორიის ზომის და საგნის თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია მასში ერთდროულად ერთზე მეტი ჯგუფის/პედაგოგის ყოფნა.

საფუძველი: საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ";
„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;
„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანება.

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 20 სექტემბერს,
დადგენილება №01-05-04/254

ცვლილებები შეტანილია დადგენილებებით:

22.03.2019 №01-05-04/78,
28.06.2019 №01-05-04/177,
12.10.2020 №01-05-04/145,
26.02.2021 №01-05-04/31,
20.08.2021 №01-05-04/137,
14.07.2022 №01-05-04/88,
19.09.2024 №01-05-04/148,
29.07.2025 №01-05-04/147 (ძალაშია 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან)

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . **fakulteti**

სასწავლო ხელშეკრულება

- შევსებული უნდა იქნეს სტუდენტის მიერ;
- ჩაიბეჭდოს ან შეივსოს გარკვევით;
- სასწავლო ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად. ერთი პირი გადაეცემა სტუდენტს, მეორე პირი – ინახება დეკანატში, სტუდენტის პირად საქმეში.

სტუდენტის პირადი ნომერი | | | | | | | | | | | |

სტუდენტი

_____ _____

სახელი გვარი

აკადემიური ჯგუფი № **აკადემიური წელი** –

სწავლების წელი: ❑ პირველი ❑ მეორე ❑ მესამე ❑ მეოთხე ❑ დამატებითი

საგანმანათლებლო პროგრამა: ❑ ბაკალავრიატი ❑მაგისტრატურა ❑ დოქტორანტურა

_____

პროგრამის დასახელება

არჩეული სასწავლო კურსები		
სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
	სავალდებულო სასწავლო კურსები	
	არჩევითი სასწავლო კურსები	
	კრედიტების ჯამი	
	დამატებით (ხელახლა) გასავლელი სასწავლო კურსები	
	კრედიტების ჯამი	
	სულ კრედიტების ჯამი	

სტუდენტი			**ფაკულტეტის დეკანი**		
გვარი და სახელი	ხელმოწერა	თარიღი	გვარი და სახელი	ხელმოწერა	თარიღი

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . **ფაკულტეტი**

სტუდენტის სასწავლო ბარათი

- ჩაიბეჭდოს ან შეივსოს გარკვევით
- ივსება დეკანატში და ინახება სტუდენტის პირად საქმეში
- იბეჭდება ერთ ფურცელზე, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ფურცლის უკანა მხარე

სტუდენტის პირადი ნომერი | | | | | | | | | | | |

სტუდენტი

_____ _____

სახელი გვარი

საგანმანათლებლო პროგრამა: ❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტარტურა ❑დოქტორანტურა

_____

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	ქულა
	I სემესტრი		
	კრედიტების ჯამი		–
	I სემესტრის საშუალო შეწონილი ქულა	–	
	II სემესტრი		
	კრედიტების ჯამი		–
	II სემესტრის საშუალო შეწონილი ქულა	–	
	კრედიტების საერთო ჯამი		–
	საშუალო შეწონილი ქულა		

დანართი 3
(ძალაშია 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.
29.07.2025 №01-05-04/147)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . **ფაკულტეტის**

სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი №
სასწავლო კომპონენტი

……. სასწავლო წელი, …….. სემესტრი

სწავლების საფეხური –
საგანმანათლებლო პროგრამა –
აკადემიური ჯგუფი –
სასწავლო კურსი –
პროფესორ-მასწავლებლები:

ECTS კრედიტი:

№	გვარი, სახელი	მიმდინარე აქტივობა/კვირა, ქულა														საკურსო პროექტი, ქულა	სულ, მიმდინარე აქტივობები, ქულა	შუასემესტრული გამოცდა, ქულა	სულ, შუალედური შეფასებები, ქულა	დოკუმენტური მასალა	გამოცდა, ქულა		საბოლოო შეფასება	
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13							დასკვნითი	დამატებითი	ქულა	ალნიშვნა
	მაქსიმალური ქულა																							
1																								
2																								
3																								

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი	..... *ინიც. და გვარი*	..... *ხელმოწერა*	..... *თარიღი*	**ფაკულტეტის დეკანი**
აკადემიური დეპარტამენტის უფროსი	..... *ინიც. და გვარი*	..... *ხელმოწერა*	..... *რეგ.№*	..... *თარიღი*
				ინიც. და გვარი *ხელმოწერა*

დანართი 4

(26.02.2021 №01-05-04/31)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . ფაკულტეტის

სტუდენტთა შეფასების ელექტრონული უწყისი №

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

……. სასწავლო წელი, …….. სემესტრი

სწავლების საფეხური –
საგანმანათლებლო პროგრამა –
აკადემიური ჯგუფი –
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – ECTS კრედიტი:
ხელმძღვანელი/სამეცნიერო ხელმძღვანელი:

№	გვარი, სახელი	დოკუმენტური მასალა	შეფასება	
			ქულა	რანჟირება
		აღნიშვნა		
1		❒		
2		❒		

ხელმძღვანელი/სამაცნიერო ხელმძღვანელი	..... *ინიც. და გვარი*	..... *ხელმოწერა*	..... *თარიღი*		**ფაკულტეტის დეკანი**
აკადემიური დეპარტამენტის უფროსი	..... *ინიც. და გვარი*	..... *ხელმოწერა*	..... *რეგ.№*	..... *თარიღი*	..... *ინიც. და გვარი* ..... *ხელმოწერა*

დანართი 5

(26.02.2021 №01-05-04/31)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . ფაკულტეტის

დოქტორანტთა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ეტაპის გავლის აღრიცხვის ელექტრონული უწყისი №

……. სასწავლო წელი, …….. სემესტრი

სწავლების საფეხური – დოქტორანტურა
საგანმანათლებლო პროგრამა –
აკადემიური ჯგუფი –
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი –
სამეცნიერო ხელმძღვანელი –

№	გვარი, სახელი	დოკუმენტური მასალა	განხილვა
		აღნიშვნა	აღნიშვნა
1		❒	❒
2		❒	❒
3		❒	❒

სამეცნიერო ხელმძღვანელი	..... *ინიც. და გვარი*	..... *ხელმოწერა*	..... *თარიღი*		**ფაკულტეტის დეკანი**
აკადემიური დეპარტამენტის უფროსი	..... *ინიც. და გვარი*	..... *ხელმოწერა*	..... *რეგ.№*	..... *თარიღი*	..... *ინიც. და გვარი* ..... *ხელმოწერა*